



## 2022 წლის ივლისის თვის შეჯამება

### აქტივები

2022 წლის ივლისში, ივნისთან შედარებით სისტემა შემცირდა (ლარში), თუმცა წლის ბოლოსთან შედარებით სექტორი ზრდის პოზიტიურ ტრენდს ინარჩუნებს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებული რეგულაციები და სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობა 4 წლიდან 3 წლამდე შეამცირა.

	ივლისი-22	ივნისი-22	+/- წინა თვესთან	2021	+/- წინა წლის ბოლოსთან	ივლისი-21	+/- თვე წინა წლის თვესთან
<b>მთლიანი აქტივები</b>	63,702,398,574	64,180,909,434	<b>-0.75%</b>	60,568,300,187	<b>5.17%</b>	57,027,656,323	<b>11.70%</b>

### საკრედიტო პორტფელი

ლარში ნომინირებული ჯამური საკრედიტო პორტფელი ივნისის თვესთან შედარებით **3.59%**-ით შემცირდა, ჯამში წლის ბოლოსთან შედარებით საკრედიტო პორტფელის 2.35%-იანი კლება ფიქსირდება.

	ივლისი-22	ივნისი-22	+/- წინა თვესთან	2021	+/- წლის ბოლოსთან	ივლისი-21	+/- თვე წინა წლის თვესთან
<b>საკრედიტო პორტფელი</b>	42,083,737,582	43,652,931,276	<b>-3.59%</b>	43,097,353,804	<b>-2.35%</b>	39,604,153,741	<b>6.26%</b>

თუ საკრედიტო პორტფელს აშშ დოლარში ავსახავთ, მაშინ ბანკთაშორისი კრედიტების გარეშე წინა წლის ბოლოსთან შედარებით **9.4%**-იან ზრდას ვიღებთ, რასაც კურსის ცვლილება უწყობს ხელს (ივლისი, 22 - 2.7652 ლარი; დეკ, 21 - 3.0976 ლარი).

### საკრედიტო პორტფელი სეგმენტების მიხედვით

ივლისში ყველა სეგმენტის საკრედიტო პორტფელი შემცირდა. 7 თვის შედეგებით, განსაკუთრებით თვალშისაცემი კორპორატიული სესხების პორტფელის შემცირებაა. ივლისის მონაცემებით ჯამური საკრედიტო პორტფელი ბანკთაშორისი კრედიტების გარეშე წლის ბოლოსთან შედარებით **2.34%**-ით არის შემცირებული.

	ივლისი-22	ივნისი-21	+/- წინა თვესთან	2021	+/- წლის ბოლოსთან	ივლისი-21	+/- თვე წინა წლის თვესთან
საკრედიტო პორტფელი	42,074,356,567	43,643,928,085	<b>-3.60%</b>	43,082,611,456	<b>-2.34%</b>	39,598,536,453	<b>6.25%</b>
კორპორატიული სესხები	12,883,991,010	14,089,123,460	<b>-8.55%</b>	14,631,918,946	<b>-11.95%</b>	13,335,234,383	<b>-3.38%</b>
SME სესხები	11,707,274,429	11,969,023,022	<b>-2.19%</b>	11,500,948,566	<b>1.79%</b>	10,698,757,469	<b>9.43%</b>
საცალო სესხები	17,483,091,128	17,585,781,604	<b>-0.58%</b>	16,949,743,944	<b>3.15%</b>	15,564,544,601	<b>12.33%</b>

წლის დასაწყისიდან საცალო სესხების წილი ჯამურ პორტფელში გაიზარდა. საცალო და SME სესხების წილი ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. ხოლო კორპორატიული სესხების წილი ივლისში ნაჩვენები შედეგების მიხედვით პორტფელში შემცირებულია:

წლილი მთლიანი პორტფელში	2019	2020	2021	IQ, 22	IIQ, 22	ივლისი, 22	აგვისტო, 22	სექტემბერი, 22
კორპორატიული სესხები	34.31%	34.68%	33.96%	32.59%	32.28%	30.62%		
SME სესხები	25.44%	26.13%	26.70%	27.42%	27.42%	27.83%		
საცალო სესხები	40.25%	39.19%	39.34%	39.99%	40.29%	41.55%		

### დეპოზიტები

2022 წლის ივლისში მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი **58.05%**-მდე შემცირდა.

	ივლისი-22	ივნისი-21	+/- წინა თვესთან	2021	+/- წლის ბოლოსთან	ივლისი-21	+/- თვე წინა წლის თვესთან
მთლიანი დეპოზიტები	40,155,817,790	39,660,453,688	<b>1.25%</b>	37,999,237,523	<b>5.68%</b>	35,831,871,429	<b>12.07%</b>
არასაბანკო დეპოზიტები	38,764,516,403	38,260,639,491	<b>1.32%</b>	37,185,209,964	<b>4.25%</b>	35,107,176,810	<b>10.42%</b>
იურ.პირების დეპოზიტები	18,181,661,163	17,719,030,469	<b>2.61%</b>	16,976,720,940	<b>7.10%</b>	15,766,039,649	<b>15.32%</b>
ფიზ.პირების დეპოზიტები	20,582,855,240	20,541,609,022	<b>0.20%</b>	20,208,489,024	<b>1.85%</b>	19,341,137,161	<b>6.42%</b>

### საპროცენტო განაკვეთი სესხებზე

საპროცენტო განაკვეთის ზრდა სისტემაში კვლავ აქტუალური საკითხია. ივლისში განაკვეთები კვლავ გაიზარდა. ზრდა შეეხო ყველა პორტფელს. განაკვეთის შემცირება წელს მოსალოდნელი არ არის, რადგან ინფლაციის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია. რეფინანსირების განაკვეთის შემცირებას საქართველოს ეროვნული ბანკი წელს სავარაუდოდ არ განიხილავს. თუ შემოდგომამდე ინფლაცია კლებას არ დაიწყებს, შესაძლებელია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აშშ დოლარში მოზიდულ სახსრებზე სებ-მა რეზერვების განაკვეთი გაზარდოს, რაც სავალუტო სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდაზე აისახება. ივლისში, სისტემაში გაიზარდა აშშ დოლარის საპროცენტო განაკვეთებიც, რაც აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ზრდით არის გამოწვეული.

% განაკვეთი	2019	2020	2021	IQ, 22	IIQ, 22	ივლისი, 22	აგვისტო, 22	სექტემბერი, 22
საკრედიტო პორტფელი	10.63 %	10.22 %	10.88 %	10.92 %	11.26 %	11.55%		
კორპორატიული სესხები	8.71%	8.42%	9.14%	9.15%	9.45%	9.75%		
SME სესხები	9.91%	9.34%	9.90%	10.06 %	10.42 %	10.63%		
საცალო სესხები	12.72 %	12.39 %	12.81 %	12.98 %	13.23 %	13.44%		

